თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 9 აგვისტო
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 12

ქ. თერჯოლა 9 აგვისტო 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ლაშა გურგენიძე, 4. იზა მაგრაქველიძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. კობა კაცაძე, 7. ნინო მახათაძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალი ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. შალვა ჭანკვეტაძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. კახა ბუცხრიკიძე, 18. ფრიდონ გვენეტაძე, 19. დავით ცხადაძე, 20. ნატალია ასათიანი, 21. კობა კირკიტაძე, 22. მერაბი ბასილაძე, 23. ტარიელ ფანჩულიძე, 24. რუსუდან კოვზირიძე, 25. ივანე ჩუბინიძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ნინო ჩხიკვაძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. თამარ ახვლედიანი, 4. როლანდი მესხი, 5. თემურ ქოჩიაშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 25 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 20 სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282221785, 05.08.2022 წ.).

მომხს.: მ.ფანჩულიძე
თანამომხს.: ა.ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ ფანჩულიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილმა (გამოგზავნილია ბიუჯეტის ახალი პარამეტრები) და მთავრობის განკარგულებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 3052.9 ათასი ლარით და შეადგენს 29106.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 130,0 ათასი ლარით (საგადასახადო შემოსავლები-ქონების გადასახადი).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 3182.9 ათასი ლარით: გრანტი გაიზარდა 2350.0 ათასი ლარით და საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 832.9 ათასი ლარით (დამატებული ღირებულების გადასახადი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 155.1 ათასი ლარით. საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 119.0 ათასი ლარით(ეკონომიები). სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია შემცირდა 26.1 ათასი ლარით(ეკონომია) და ამბულატორიის დაფინანსება შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 3208.0 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია გაიზარდა 2398.0 ათასი ლარი: სოფ. ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 585,5 ათასი ლარი (რგფ- 507.5 ათასი ლარი და ადგილობრივი 78.0 ათასი ლარი).ძევრში ჩხარი-ეწერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 384.6 ათასი ლარი (რგფ-365.4 ათასი ლარი და ადგილობრივი19.2 ათასი ლარი).ქ. თერჯოლაში ვარლამ მაკარიძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია 537.6 ათასი ლარი (რგფ-431.9 ათასი ლარი და ადგილობრივი 105.7 ათასი ლარი).თერჯოლა - ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 300.0 ათასი ლარი (რგფ-285.0 ათასი ლარი და ადგილობრივი 15.0 ათასი ლარი).სოფ. ბარდუბანში სათემოს უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 271.2 ათასი ლარი (რგფ-257.7 ათასი ლარი და ადგილობრივი 13.6 ათასი ლარი).ქ. თერჯოლაში მაჩიტიძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 319.1 ათასი ლარი (რგფ-303.1 ათასი ლარი და ადგილობრივი16.0 ათასი ლარი).

წყალმობარაგების სისტემის რეაბილიტაცია გაიზარდა 210.0 ათასი ლარით ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის (რგფ-199.5 ათასი ლარი და ადგილობრივი 10.5 ათასი ლარი).

ა(ა)იპი თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 300.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 300.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22 , წინააღმდეგი - 3

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 15, 09.08.2022 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი